



ღირსეული
შრომის
კლავორმა
GEORGIA FAIR LABOR PLATFORM

შრომის რეფორმა მიღებულია- ძლიერი შრომის ინსპექციით და სუსტი შრომითი სტანდარტებით

29 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით, საბოლოოდ მიიღო შრომის რეფორმა.

ცალსახად დადებითად ვაფასებთ მიღებული რეფორმით, მშრომელთათვის შექმნილ გაუმჯობესებულ შრომით გარანტიებს, თუმცა, სამწუხაროდ ცვლილებები მხოლოდ ფრაგმენტულად პასუხობს ქვეყანაში არსებულ მძიმე შრომით პირობებს და კვლავ შორსაა დამსაქმებელთა და დასაქმებულების ინტერესების რეალური დაბალანსებისგან.

შრომითი რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ძლიერი შრომის ინსპექციის ჩამოყალიბებაა. შრომის ინსპექციას 2021 წლის 1 იანვრიდან მიენიჭება უფლებამოსილება ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შრომითი სტანდარტის პრაქტიკაში აღსრულებაზე, რაც

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ცალსახად წინ გადადგმული ნაბიჯია მშრომელთა ფუნდამენტური უფლებების დასაცავად.

მივესალმებით მიღებული რეფორმით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების დარეგულირებას როგორცაა შესვენებისა და დასვენების დრო, შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის ამკრძალავი პრინციპების გაძლიერება და გონივრული მისადაგების ცნების განსაზღვრა, სტაჟირების სამართლებრივი მონესრიგების შემოტანა, შრომითი მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების მექანიზმის ჩამოყალიბება და სხვა.

მიუხედავად, მცდელობისა, კანონმდებლობით ასევე მონესრიგებულიყო ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები როგორცაა დაბალი და ცხოვრების მინიმალური საჭიროებებისთვის შეუსაბამო ანაზღაურება, დაურეგულირებელი სამუშაო საათები, ზეგანაკვეთური შრომა და მისი არასათანადო ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის შვებულების არსათანადოდ ანაზღაურება, სოლიდარული გაფიცვის შესაძლებლობის არარსებობა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ამომწურავი საფუძვლების განსაზღვრა, სამწუხაროდ კანონმდებლებმა, საბოლოოდ არ გამოავლინეს პოლიტიკური ნება მოენესრიგებინათ მშრომელთა ეს ყოველდღიური პრობლემები და ამ საკითხებზე პირველად ვერსიაში არსებული ბაზისური ჩანაწერები, ბიზნეს სექტორის სისტემური გენოლის შედეგად, რეფორმიდან ეტაპობრივად იქნა ამოღებული.

ღირსეული შრომის პლატფორმა ყურადღებით დააკვირდება მიღებული რეფორმის პრაქტიკაში აღსრულების პროცესს და მომავალშიც გააგრძელებს მშრომელთა უფლებების და საჭიროებების შრომით კანონმდებლობაში ასახვის ადვოკატირებას.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC),

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

ჯანდაცვისა და მომსახურების სფეროების პროფკავშირი - სოლიდარობის ქსელი

სოციალურ მუშაკთა გაერთიანება

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროფკავშირი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)

სატრანსპორტო კომპანიის დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი „ერთობა 2013“